ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა.(ა).ი.პ. ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება ტყიბულის N-3 საბავშვო ბაგა-ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: მაკა გრძელიშვილი

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: ირინე ქათამაძე

კვების დარგში ექსპერტი: თეა კუჭუხიძე

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: მარიამ გელხვიიძე

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ა.(ა).ი.პ. ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი	219638024
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)*	ტყიბულის N-3 საბავშვო ბაგა-ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)*	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)*	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი N 3
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)*	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ტყიბული, გურამიშვილის N4
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)*	

3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐

4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი *(ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)*	MES 5250000516362, 14/05/2025
ვიზიტის პერიოდი *(თარიღი)*	27, 28 მაისი 2025 წელი

5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

N	პროგრამის სახე[1]	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)*	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და	1.ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში	ქართული		115

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

	განათლების პროგრამა.	2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.			ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ არ ეთანხმება ☒ ექსპერტებისგან რეკომენდირებული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობაა 100

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხებ

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 14 მაისის ბრძანება MES 5250000516362-ის საფუძველზე განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის წევრთა საავტორიზაციო ვიზიტი ტყიბულის N-3 საბავშვო ბაგა-ბაღში. დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. საავტორიზაციო ვიზიტი დაიგეგმა 27, 28 მაისს, 10 საათიდან 18 საათამდე, ერთსაათიანი შესვენებით. ექსპერტების მიერ დამატებითი დოკუმენტაცია ადგილზე ვიზიტისას იქნა შესწავლილი. ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. მოხდა დაწესებულების ვიზუალური დათვალიერება, გასაუბრება, როგორც გაერთიანების წარმომადგენლებთან და ადმინისტრაციის უფროსთან, ასევე პასუხისმგებელ პირებთან.

ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ პირისპირ გასაუბრებოდნენ პასუხისმგებელ პირებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია შესაბამის სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის დღის ბოლოს ჯამდებოდა ვიზიტის დღე. ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია დაწესებულების წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....
.....
.....

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	**დაწესებულების თვითშეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2] *(სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა)* *(„ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“)*		
2. კურიკულუმი	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☒ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7.ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია

1.2. სტრატეგიული განვითარება

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.2. პროცესების მართვა

4.3. მატერიალური რესურსი

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს მისია: „თამაშზე დაფუძნებული ხარისხიანი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება, თემისა და ოჯახის ჩართულობით ბავშვის უსაფრთხოებაზე, უფლებებზე და კეთილდღეობაზე მზრუნველი გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ ბავშვს საშუალება ეძლევა გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, დაიკმაყოფილოს ინტერესები და ჩამოუყალიბდეს ცხოვრებისათვის და სწავლისათვის საჭირო უნარჩვევები.“. მისია გაცხადებულია გაერთიანების დირექტორის 10.06.2024 წლის N02/22[1] ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში ,,ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების და გაზიარების შესახებ“. მისიაში მკაფიოდაა ასახული ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულება, ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს: უსაფრთხოებას, უფლებებს, კეთილდღეობის დაცვას, შესაბამისი გარემოს შექმნას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ბავშვის კეთილდღეობა. შესაბამისად, დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხედვა და ღირებულებები, მისიასთან ერთად გაცხადებულია გაერთიანების დირექტორის N02/22[1] (02/22 პრიმა) ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში ,, ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების და გაზიარების შესახებ“. დაწესებულების ხედვაა:

,,2030 წლისთვის ჩვენს დაწესებულებაში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროცესი მიმდინარეობს სახელმწიფო სტანდარტებით, თანამედროვე მოთხოვნებით გათვალისწინებულ შენობაში, რომლის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მუდმივად უმჯობესდება ახალი ღირებულებების, გამოწვევების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას გათვალისწინებულია თითოეული ბავშვის ინტერესები, შესაძლებლობები და

საჭიროებები, დაწესებულება ზრუნავს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე. დაწესებულებაში დასაქმებული აღმზრდელების განათლება და კვალიფიკაცია არის მაღალი ხარისხის.“

დაწესებულების ღირებულებებია:

თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობა;
ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა;
ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა;
პოზიტიური გარემოს ფორმირება;
თანამშრომელთა პროფესიონალიზმი;

მოცემული ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან, მისიასთან მჭიდრო კავშირშია ხედვის სამომავლო მიზნებიც. ღირებულებების ნაწილში კი, წარმოდგენილია მისიასთან თავსებადი მიზნებისა და ორგანიზაციული პრინციპების ერთობლიობა. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე, განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 10.06.2024 წლის N 02/22 ბრძანებით დამტკიცებულია „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, დოკუმენტის მე-7 და მე-8 მუხლი განსაზღვრავს მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავება-გაზიარების წესს და მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავებისთვის სამუშაო ჯგუფს,

რომელშიც შედიან დაინტერესებული მხარეები: ა)ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები; ბ)ბაღ(ებ)ის წარმომადგენლები გ)მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები -კულტურა, განათლება, ტურიზმი, სპორტის მხარდაჭერის უფროსი და კულტურის, განათლების, ტურიზმის მთავარი სპეციალისტი;

მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესს წარმართავს გაერთიანება, გაერთიანების დირექტორის მიერ 27.02.2024 წლის N02/11 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის აქტიური ჩართულობით. გაერთიანების წარმომადგენელმა სამუშაო ჯგუფს გააცნო ინფორმაცია მისია, ხედვა, ღირებულებების არსის და მნიშვნელობის შესახებ, ბაღების ადმინისტრაციის უფროსების მიერ მოხდა მისია, ხედვა, ღირებულებების ვერსიების შემუშავება ბაღების პერსონალის, მშობლების ჩართულობით და მათი უკუკავშირით. შემუშავებული სამუშაო ვერსიები წარმოდგენილი იქნა გაერთიანების სამუშაო ჯგუფის სხდომაზე. მსჯელობა, გაანალიზების შემდეგ მისია, ხედვა, ღირებულებები საბოლოო სახით ჩამოყალიბდა. გაერთიანების დირექტორის N 02/22 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“,სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები N1, N2, წარმოდგენილი მისია, ხედვა, ღირებულებების სამუშაო ვერსიები, ინტერვიუ გაერთიანების წარმომადგენელთან და საბავშვო ბაღის ადმინისტრაციის უფროსთან ადასტურებს, რომ მისია, ხედვა, ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 10.06.2024 წლის N02/22 ბრძანებით დამტკიცებულია „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, სადაც, მე-6 და მე-8 მუხლების მიხედვით განსაზღვრულია დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტის გაზიარების საკომუნიკაციო არხები: *ა)* ელექტრონული ფოსტა; ბ) ღია შეხვედრები გ) სოციალური მედია;

27.08.2024 წლის N 02.31 ბრძანებით დამტკიცებულ ბაღების საკომუნიკაციოს გეგმაში განსაზღვრულია „სამიზნე აუდიტორია“ (დაინტერსებული მხარეები) და „ბაგა-ბაღის მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხები“. ერთ-ერთ შერჩეულ არხს წარმოადგენს „ბაგა-ბაღის სოციალური მედიის პლატფორმები“ და „საინფორმაციო დაფები“. დაწესებულებას, აღნიშნულ რეგულაციაში განსაზღვრული საკომუნიკაციო არხები გამოყენებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებების დაინტერესებულ მხარეებთან გასაზიარებლად.

დაწესებულებაში ვიზიტისას, ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსებულია საბავშვო ბაღის ფოიეში თვალსაჩინო ადგილზე. გაზიარებულია ელექტრონული ფოსტის სოციალური მედიის (facebook)- https://www.facebook.com/share/p/1FBHP7JYHx/ საშუალებით, საბავშვო ბაღის პერსონალის და მშობლებისთვის მისი გაცნობა მოხდა დახურულ ჯგუფებში და ღია შეხვედრებზე (საინფორმაციო შეხვედრა, მშობელთა კრება), რასაც ადასტურებს ბაღის პერსონალთან და მშობლებთან შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, მათგან მიღებული უკუკავშირი და ფოტოსურათები. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან ჩანს, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. გაერთიანების დირექტორის 10.06.2024 წლის N02/22[1] ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი ,,ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განა.ლების დაწესებულებათა გაერთიანების მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების და გაზიარების შესახებ“.
2. გაერთიანების დირექტორის 27.02.2024 წლის N02/11 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
3. გაერთიანების დირექტორის 10.06.2024 წლის N02/22 ბრძანება „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“.
4. გაერთიანების დირექტორის 10.06.2024 წლის N02/22[1] (02-22 პრიმა) ბრძანებით დამტკიცებულi დოკუმენტი ,, ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების და გაზიარების შესახებ“.
5. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები N1, N2
6. მისია, ხედვა, ღირებულებების სამუშაო ვერსიები (წარმოდგენილი ბაღების ადმინისტრაციის უფროსების მიერ)
7. ბაღის პერსონალთან და მშობლებთან შეხვედრის ოქმები
8. ფოტო მასალა
9. ვიზუალური დათვალიერება- საინფორმაციო დაფა
10. ინტერვიუ გაერთიანების წარმომადგენელთან, დაწესებულების ადმინისტრაციის უფროსთან
11. facebook -ის ლინკი https://www.facebook.com/share/p/1FBHP7JYHx/

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს გაერთიანების დირექტორის 10.06.2024 წლის N02/22 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“. სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპები, შერჩეულია დაგეგმვის პროცესის დასაწყებად SWOT მეთოდოლოგია (სიტუაციის ანალიზი) და თვითშეფასება, განსაზღვრულია პროცესზე პასუხისმგებელი პირი - გაერთიანების დირექტორი და მის მიერ 27.02.2024 წლის N02/11 ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის საკითხებსა და სტრატეგიული განვითარების დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია დაინტერესული მხარეებით: ა) ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები; ბ)ბაღ(ებ)ის წარმომადგენლები, კერძოდ საბავშვო ბაღების ადმინისტრაციის უფროსები (სულ 18 საბავშვო ბაღი) გ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები -კულტურა, განათლება, ტურიზმი, სპორტის მხარდაჭერის განყოფილების უფროსი და კულტურის, განათლების, ტურიზმის მთავარი სპეციალისტი; სწორედ მათ, როგორც დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“.

გაწერილია გაზიარების საშუალებები: სტრატეგიული დაგეგმვა-განვითარების პროცესში, დოკუმენტების შექმნისას დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მათთვის დოკუმენტების გაზიარება ხდება საინფორმაციო და სამუშაო ჯგუფის შეხვედრების საშუალებით, პროცესში შემუშავებული უკვე დამტკიცებული დოკუმენტების გაზიარებისთვის განსაზღვრულია: ელექტრონული ფოსტა, ღია შეხვედრები, სოციალური მედია. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ მუხლი 13 ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას: სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (3 წელი) და ბოლოს- სტრატეგიული გეგმის წლის დასრულებამდე არაუგვიანეს 6 თვისა. სამოქმედო გეგმის მონიტორინგს დაწესებულება ახორციელებს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო წლის განმავლობაში ორჯერ -,,სემესტრულად“ , ხოლო შეფასებას წლიურად.

გაერთიანების დირექტორის 01.04.2021 წლის N 02/16 ბრძანებით დამტკიცებულია -,,გაერთიანების შიდა მონიტორინგის განყოფილების დებულება, მონიტორინგის წესი და კითხვარები", ამ წესის შესაბამისად, გაერთიანება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მონიტორინგი მოიაზრებს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე თვალყურის დევნებას, ხოლო შეფასება დაკვირვების შედეგების გაანალიზებას, რათა მიზანმიმართულად წარიმართოს დაგეგმილი პროცესი, დროულად მოხდეს შემაფერხებელი ფაქტორების აღმოჩენა და მათზე რეაგირება. განსაზღვრულია მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი -გაერთიანების შიდა მონიტორინგის განყოფილების უფროსი. მონიტორინგისთვის ახდენენ სხვადასხვა მონაცემების შეგროვებას, იყენებენ მეთოდებს: ვიზუალური დათვალიერება, დაკვირვება, გამოკითხვა, გასაუბრება/ინტერვიუ. შემდეგ კი აკეთებენ შეგროვილი ინფორმაციის ანალიზს. სტარტეგიული გეგმის მონიტორინგს აწარმოებენ ორჯერ: შუალედური (3 წლის შემდეგ) და საბოლოო. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება ,,სემესტრულად" , ხოლო შეფასება წლის ბოლოს. დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება შეხვედრების ორგანიზება, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების სტატუსის შეფასება (შესრულდა/ვერ შესრულდა).

წარმოდგენილი დოკუმენტები: „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი", ,,გაერთიანების შიდა მონიტორინგის განყოფილების დებულება", ანგარიშები და მტკიცებულებები, ინტერვიუ გაერთიანების წარმომადგენელსა და დაწესებულების ადმინისტრაციის უფროსთან ადასტურებს, რომ დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტებში: „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი", ბრძანება N02/22 , 10.06.2024 წელი და ,,გაერთიანების შიდა მონიტორინგის განყოფილების დებულება, მონიტორინგის წესი და კითხვარები", ბრძანება N 02/16 , 01.04.2021 წელი, სასურველია, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წარმოება განისაზღვროს წელიწადში ორჯერ- 5 თვის შემდეგ და არა სემესტრულად, შეფასება განისაზღვროს ყოველი მონიტორინგის შემდეგ, ანუ წელიწადში ორჯერ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N02/23 ბრძანებით დამტკიცდა 2024-2030 წლების 6-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის მიერ ურთიერთთანამშრომლობით განისაზღვრა 4 სტრატეგიული მიზანი შესაბამისი ამოცანებით.

სტრატეგიული მიზნები:

1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (გაწერილი აქვს 5 ამოცანა)
2. სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესება (გაწერილი აქვს 2 ამოცანა)
3. პერსონალის მართვა და განვითარება (გაწერილი აქვს 4 ამოცანა)
4. ჯანმრთელობის დაცვა და კვების ორგანიზება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. (გაწერილი აქვს 3 ამოცანა)

წარმოდგენილი ოთხი სტრატეგიული მიზანი თავსებადია მისია, ხედვა და ღირებულებებთან. თითოეულ მიზანთან მიმართებით განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები, რომლებიც მიმართულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისკენ და ერთიანობაში იძლევა მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. რაც შეეხება ციკლურობას, სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 6 წლიანი პერიოდისთვის, მიმართული იქნება ოთხივე მიზნის სრულად მიღწევისკენ და არ ჩანაცვლდება ახალი სტრატეგიული გეგმით, გარდა დასაბუთებული აუცილებლობისა. ზემოთ აღნიშნული დასტურდება გაერთიანების წარმომადგენელთან და საბავშვო ბაღის ადმინისტრაციის უფროსთან ინტერვიუებით. დგინდება, რომ სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან, ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. **სტანდარტის ინტიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 14 აგვისტოს N02/30 ბრძანებით დამტკიცებულია „2024-2025 სააღმზრდელო - საგანმანათლებლო წლის სამოქმედო გეგმა“, რომელიც მორგებულია ერთ სასწავლო/სააღმზრდელო წელზე და

ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას ,,სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგის და შეფასების წესის“ (გაერთიანების დირექტორის 10.06.2024 წლის N02/22 ბრძანება, დანართი N2 მუხლი 11) შესაბამისად. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია ბაღების გაერთიანებაში შემავალი ყველა ბაღისთვის და აქ გაწერილი თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია ის კონკრეტული ბაღი/ბაღები, რომელთათვის რელევანტური იქნება კონკრეტული აქტივობის შესრულება, მათ შორისაა ტყიბულის N3 საბავშვო ბაღი.

სამოქმედო გეგმის შემუშავება გათვალისწინებულია შემდეგი ეტაპების შესაბამისად: ა) სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება სამუშაო ჯგუფის მიერ ბ) სამოქმედო გეგმის პროექტის გაზიარება დაინტერესებული მხარეებისათვის, კერძოდ დაწესებულების პერსონალისა და მშობლებისთვის; გ) მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება; დ) სამოქმედო გეგმის პროექტის საბოლოო სახით ფორმირება და გადაგზავნა ა.(ა).ი.პ. ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანებისთვის ე) ა.(ა).ი.პ.,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების მიერ ნაერთი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მომზადება და დამტკიცება გაერთიანების დირექტორის მიერ. ზემოთ აღნიშნული პროცესის განხორციელება ხდება ა.(ა).ი.პ. ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 10.06.2024 წლის N02/22 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგის და შეფასების წესის“ შესაბამისად და დასტურდება გაერთიანების დირექტორთან, გაერთიანების წარმომადგენელთან, საბავშვო ბაღის ადმინისტრაციის უფროსთან ინტერვიუებით. სამოქმედო გეგმის ამოცანები ფარავს სტრატეგიული გეგმის მიზნებს. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას. რაც შეეხება დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას, ა.(ა).ი.პ. ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 10.06.2024 წლის N02/22 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგის და შეფასების წესის“ შესაბამისად, დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში არ უწევდა მისი განხორციელება.

სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 14 აგვისტოს N 02/30 ბრძანებით დამტკიცებულია „2024-2025 სააღმზრდელო-საგანმანათლებლო წლის სამოქმედო გეგმა“. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები.მაგალითად, მატერიალურ ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის დაგეგმილია ისეთი აქტივობები, როგორიცაა, ბავშვებისთვის სანიტარული კვანძის პრივატულობის მოწყობა, უფროსებისთვის ადაპტირებული სანიტარული კვანძის მოწყობა, მე-2 სართულზე ასასვლელ კიბეზე პანდუსის მოწყობა და ა.შ. სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის დაგეგმილია კურიკულუმის ფარგლებში მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნა/წარმოება, კერძოდ, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების დოკუმენტის შექმნა,გაზიარება, მშობელთა საკონსულტაციო საბჭოს არჩევა-განახლება, საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავება-გაზიარება და ა.შ.. ამოცანა- პერსონალის მართვა-განვითარებისთვის, დაწესებულების მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების უზრუნველსაყოფად დაგეგმილია დაწესებულების პერსონალთან მიზნობრივი საინფორმაციო შეხვედრები, მათი გადამზადება და ა.შ.

ა.(ა).ი.პ. ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 10.06.2024 წლის N02/22 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგის და შეფასების წესის“ მე-11 მუხლით განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის სავალდებულო ველები: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობა, შერულების ინდიკატორი , მტკიცებულება, განხორციელების ვადა თვეების ჭრილში, პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, შესაბამისი რესურსები(დაფინანსების წყარო,მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი). ა.(ა).ი.პ.ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 14 აგვისტოს N02/30 ბრძანებით დამტკიცებულ „2024-2025 სააღმზრდელო-საგანმანათლებლო წლის სამოქმედო გეგმაში“ სავალდებულო ველები: ვადები, შესრულების ინდიკატორები, ადამიანური რესურსები არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი. კერძოდ, გაურკვეველია თითოეული აქტივობის განხორციელების რეალისტური ვადები, არ არის დაზუსტებული კონკრეტული თვის/თვეების ან პერიოდის შესაბამისად, არ არის გაწერილი აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები,აღნიშნულ ველში გაწერილია ავტორიზაციის სტანდარტის ინდიკატორები.არ არის დაკონკრეტებული საჭირო ადამიანური რესურსი. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა.(ა.)ი.პ. ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების" ადმინისტრაციული ერთეულის-ტყიბულის N3 საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, კონკრეტული ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულება გეგმავს სამოქმედო გეგმის ახალი რედაქციის შემუშავებას, ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას და დამტკიცებას 25.09.2026 წლამდე. ექსპერტი იზიარებს დაწესებულების შეფასებას ,,მეტწილად შეესაბამება", შესაბამისად, შეფასება ,,არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შეესაბამება".

.....

.....

5.მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 10.06.2024 წლის N02/22 ბრძანებით დამტკიცებულია „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“. გარდა ამ წესისა, გაერთიანების დირექტორის 01.04.2021 წლის N 02/16 ბრძანებით დამტკიცებულია ,,გაერთიანების შიდა მონიტორინგის განყოფილების დებულება, მონიტორინგის წესი და კითხვარები“, მეთოდოლოგიის და ამ წესის შესაბამისად, გაერთიანება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, რაც მიზნად ისახავს დაგეგმვა-განხორციელების პროცესში შემაფერხებელი ფაქტორების დროულ აღმოჩენას და მათზე რეაგირებას. განსაზღვრულია მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი -შიდა მონიტორინგის განყოფილების უფროსი. მონიტორინგისთვის ახდენენ მონაცემების შეგროვებას, იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს: ვიზუალურ დათვალიერებას, დაკვირვებას, გამოკითხვას, გასაუბრება/ინტერვიუს. სტარტეგიული გეგმის მონიტორინგს აწარმოებენ ორჯერ: შუალედური (3 წლის შემდეგ) და საბოლოო. ,,სამოქმედო გეგმის მონიტორინგს გაერთიანება ახორციელებს ,,სემესტრულად“ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების და აქტივობების შესრულების სტატუსის განსაზღვრის მიზნით(შესრულდა/არ შესრულდა)“. შეფასება ხორციელდება წლიურად. შეფასება გულისხმობს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. წლის ბოლოს, დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება შეხვედრების ორგანიზება, წარმოდგენილი ანგარიშების და მტკიცებულებების განხილვა. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება(შესრულდა/ვერ შესრულდა).

2025 წლის იანვრის ბოლოს და თებერვლის დასაწყისში დაწესებულებაში განხორციელდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგი დაკვირვების, ვიზუალური დათვალიერების მეთოდების საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას შეფასება განსაზღვრული აქვს წლის ბოლოს, მოხდა განხორციელებული მონიტორინგის შედეგების გაანალიზება, შემუშავდა დაწესებულების ადმინისტრაციის უფროსის მიერ შუალედური ანგარიში, რომელიც წარუდგინა გაერთიანების დირექტორს საერთო შეხვედრაზე განსახილველად, რაც დასტურდება შემდეგი მტკიცებულებებით: შევსებული კითხვარები და დაკვირვების ჩეკლისტები, სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები, შუალედური ანგარიში, ფოტომასალა, გაერთიანების და დაწესებულების საინფორმაციო დაფა, ინტერვიუ გაერთიანების წარმომადგენელთან და დაწესებულების ადმინისტრაციის უფროსთან.

სამოქმედო გეგმის წლიურ შეფასებას და შესაბამის ანგარიშს დაწესებულება მოამზადებს სააღმზრდელო წლის ბოლოს, რის შემდეგაც დაიწყებენ მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაზე მუშაობას. დგინდება, რომ მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

6.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 10.06.2024 წლის N02/22 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ და 01.04.2021 N02/16 ბრძანებით დამტკიცებული -,,გაერთიანების შიდა მონიტორინგის განყოფილების დებულება, მონიტორინგის წესი და კითხვარები“-ს თანახმად, დაწესებულება სტარტეგიული გეგმის მონიტორინგს აწარმოებს ორჯერ: შუალედური (3 წლის შემდეგ) და საბოლოო, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება ,,სემესტრულად“, შეფასება წლის ბოლოს. ვიზიტის დროისთვის, დაწესებულებას არ უწევდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების მომზადება, შესაბამისად, ვერ მოხდებოდა მათი საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
.....
.....

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 10.06.2024 წლის N02/22 ბრძანება- „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“.
2. გაერთიანების დირექტორის 17.06.2024 წლის N 02/23 ბრძანებით დამტკიცებული ,,2024-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა“
3. გაერთიანების დირექტორის 14.08.2024 წლის N 02/30 ბრძანებით დამტკიცებული ,, 2024-2025 სააღმზრდელო-საგანმანათლებლო წლის სამოქმედო გეგმა“.
4. დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები
5. 01.04.2021 წლის N 02/16 ბრძანებით დამტკიცებულია გაერთიანების შიდა მონიტორინგის განყოფილების დებულება, მონიტორინგის წესი და კითხვარები
6. შევსებული კითხვარები, ჩეკლისტები
7. შუალედური ანგარიში
8. ინტერვიუ გაერთიანების წარმომადგენელთან და დაწესებულების ადმინისტრაციის უფროსთან.
9.ფოტომასალა

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი [3]

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა.

კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის;
სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

[3]მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ, 2024 წლის 13 სექტემბერს დამტკიცებულია N02/38 ბრძანება - ,,ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების ადმინისტრაციულ ერთეულ ბაგა-ბაღებში 2024-2025 სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმების შესახებ".

აღნიშნული ბრძანებით შერჩეული და დამტკიცებულია კურიკულუმები: **,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში"**, ნაწილი პირველი მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, ნაწილი მეორე პრაქტიკული სახელმძღვანელო /სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის. ბაგა-ბაღში აღნიშნული კურიკულუმით ხელმძღვანელობს 2-დან -3; 3-დან - 4; 4-დან - 5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფები, ხოლო 5-6 წლიანთა ასაკობრივი ჯგუფი ხელმძღვანელობს კურიკულუმით **სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში".**

ასევე, ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 26.11.2024 წლის ბრძანება N02/54 -ით დამტკიცებულია ,,კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესი", რომლის მე-2 მუხლის მიხედვით, ამავე ნაწილში გაერთიანების დირექტორის მიერ შექმნილია კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფი. ჯგუფი შედგება: 1) ,,ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების" სააღმზრდელო - საგანმანათლებლო კურიკულუმის განხორციელების უზრუნველყოფა და მონიტორინგის სპეციალისტი; 2) ,,ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების" ადმინისტრაციულ ერთეულ - საბავშვო ბაგა-ბაღების საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები; 3) ,,ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების" ადმინისტრაციულ ერთეულ - საბავშვო ბაგა-ბაღების უფროსი აღმზრდელები/აღმზრდელები.

წარმოდგენილი დოკუმენტები (გაერთიანების დირექტორის **N02/38** და **N02/54** ბრძანებები), ინტერვიუ გაერთიანების დირექტორთან, საბავშვო ბაღის ადმინისტრაციის უფროსთან, უფროს აღმზრდელებთან და აღმზრდელებთან, კურიკულუმების შერჩევის მიზნით გაერთიანების მიერ ორგანიზებული შეხვედრების ოქმები (ოქმი N3 – 03.07.2024წ; ოქმი N4 -11.09.2024წ.) ასახავს, რომ საბავშვო ბაგა-ბაღი პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმებით. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ, 2024 წლის 13 სექტემბერს დამტკიცებულია N02/38 ბრძანება - „ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების ადმინისტრაციულ ერთეულ ბაგა-ბაღებში 2024-2025 სააღმზრდელო - საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმების შესახებ“.

დამტკიცებული კურიკულუმები - „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას. რაც ვლინდება იმით, რომ შერჩეული კურიკულუმები ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებს, კერძოდ ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს და ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს.

ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული განვითარების თითოეული სფეროს და თემატური მიმართულების შედეგების მიღწევა დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმებით არის შესაძლებელი.

ასევე სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, არის ბავშვზე ორიენტირებული, თამაშზე დაფუძნებული, რომლის მიზანია ბავშვის განვითარების ხელშეწყობა უკლებლივ ყველა სფეროში. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……
……

რჩევა

……
……

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……
……

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბრის N02/38 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმები-,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში" და სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში" ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში. ბავშვი აღიქმება, როგორც ცენტრალური ფიგურა საკუთარ სწავლის პროცესში.

ბავშვები სწავლობენ და ვითარდებიან, როცა აქტიურად არიან ჩართულები, იკვლევენ, აღმოაჩენენ, თამაშობენ, გამოცდილებას იძენენ, კითხვებს სვამენ, ურთიერთობენ, რისკავენ. კურიკულუმები ბავშვებს აძლევს მრავალგვარი გამოცდილების შეძენის საშუალებას, მასში გათვალისწინებული აქტივობები ეხმარება აღსაზრდელებს თამაშით შეიმეცნონ პროგრამით გათვალისწინებული საკითხები.

დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმებში თამაში გამოიყენება, როგორც ძირითადი საგანმანათლებლო მეთოდი, რომელიც ავითარებს: სოციალურ და ემოციურ უნარებს; მეტყველებას და კომუნიკაციას; მეხსიერებას, ყურადღებასა და ლოგიკურ აზროვნებას; შემოქმედებით უნარებსა და თვითგამოხატვას. ყოველდღიური აქტივობები (სიუჟეტური, კონსტრუქციული, სამაგიდო, სიმბოლური თამაშები) არამხოლოდ გასართობი, არამედ საგანმანათლებლო შინაარსის მატარებელია.უფროსი აღმზრდელები/აღმზრდელები მიზანმიმართულად შეისწავლიან თამაშის დროს ბავშვის ქცევებსა და ინტერესებს, დაკვირვებაზე დაყრდნობით გეგმავენ სამომავლო აქტივობებს.

ბაღში თემატური კუთხეები (სამზარეულო, მაღაზია, ზოოპარკი, ლეგო, ბუნება) ისეა მოწყობილი, რომ ბავშვი იყოს აქტიური შემოქმედი და არა მექანიკური განმახორციელებელი.

ჯგუფების მიხედვით შედგენილი დღის განრიგით, მოკლევადიანი გეგმებით, საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსური ჩანაწერებით და უფროს აღმზრდელებთან, აღმზრდელებთან ინტერვიუთი, ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს,როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა.(ა).ი.პ.ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 27აგვისტოს №02/31 ბრძანებით დამტკიცებული ,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“ ;
2. N3 საბავშვო ბაგა-ბაღის 2024-2025 წწ. საკომუნიკაციო გეგმა;
3. განხორციელებული აქტივობის ფოტოსურათები;
4. მშობლის თანხმობა საბავშვო-ბაგა ბაღის ტერიტორიიდან გასვლაზე და ფოტო/ვიდეოს გადაღებაზე,სოც. ქსელში განთავსებაზე;
5. მშობლებთან შეხვედრის ოქმები.
6. ადმინისტრაციის უფროსთან, საგანმანათლებლო პერსონალთან/მშობლებთან ინტერვიუები

7. ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ორგანიზაციის სტრუქტურა/ორგანოგრამა, სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულები/პირები, წარმოდგენილია საშტატო ნუსხა, დასაქმების პოზიციებისა და ფუნქციების მითითებით რაოდენობრივად, რაც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ორგანოგრამით და გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 26 თებერვლის ბრძანებით 02/13 ,, ა.(ა).ი.პ.ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა საშტატო ერთეულების დამტკიცების შესახებ“ საბავშვო ბაღი დაკომპლექტებულია შემდეგი საშტატო ერთეულებით: ადმინისტრაციის უფროსი; საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი (ამჯერად არ ჰყავს დაწესებულებას), ფსიქოლოგი/სპეც საჭიროების აღმზრდელი; სამეურნეო ნაწილის გამგე; მედდა; მუსიკის მასწავლებელი; 4 უფროსი აღმზრდელი, 4 აღმზრდელი; აღმზრდელის თანაშემწე; მზარეული; მზარეულის თანაშემწე;; მრეცხავი-დამლაგებელი; დარაჯი ; მეეზოვე; მუშა. აღნიშნული პერსონალის არსებობა ხელს უწყობს დაწესებულების როგორც მმართველობითი, ისე ძირითადი და დამხმარე პროცესების წარმართვას. დაწესებულებას ასევე ჰყავს ბავშვთა რაოდენობისთვის საკმარისი საგანმანათლებლო პერსონალი, კერძოდ 52 ბავშვზე დასაქმებულია 4 უფროსი აღმზრდელი და 4 აღმზრდელი. (დაკმაყოფილებულია თანაფარდობა: სულ მცირე 1 აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი 15 ბავშვზე). დასაქმებული პერსონალის უფლება-მოვალეობების გადანაწილების საკითხი დარეგულირებულია გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 აპრილის N02.19 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით“ და 05.03.2024 წლის N02/14 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების შინაგანაწესით, რაც ასევე აისახება პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებში და მათ პირად საქმეებში. დგინდება, რომ დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

_____

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 05.03.2024 წლის N02/14 ბრძანებით დამტკიცებული ,,დაწესებულების შინაგანაწესით" განსაზღვრულია დაწესებულების პერსონალის სამუშაო აღწერილობები, ხოლო 2025 წლის 14 აპრილის N 02.19 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით" დაწესებულება უზრუნველყოფს იერარქიული სტრუქტურისა და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას. ამ მიზნით, შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა დაწესებულებაში არსებული თითოეული პოზიციისთვის. სამუშაო აღწერილობის დანართი დამტკიცებულია ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" დანართი N1-ით. ასევე, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით მკაფიოდაა განსაზღვრული დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების კონკრეტული ფუნქცია/მოვალეობები, შრომით ხელშეკრულებაში ასახულია ყველა ის ფუნქცია, რომელსაც რეალურად ასრულებს დასაქმებული და რომელიც მას შეთავსებული აქვს.

ჩანს, რომ დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.(ა).ი.პ.ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 აპრილის N 02/19 ბრძანებით ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" მე-7 მუხლით აღნიშნულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას. ამ მიზნით, შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა დაწესებულებაში არსებული თითოეული იმ პოზიციისთვის, რომელიც წარმოდგენილია ორგანოგრამაში. სამუშაო აღწერილობა დამტკიცებულია ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" დანართი N1-ით. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი მოიცავს შემდეგ საკვანძო ინფორმაციას: თანამდებობის/პოზიციის დასახელება, შესასრულებელი ფუნქციები და პასუხისმგებლობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ანგარიშვალდებულება და ვინ ითავსებს ფუნქციას არ ყოფნის პერიოდში. დაწესებულებაში პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად ამ წესის დანართით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, პროფესიული განვითარების დამადასტურებელი ცნობა/სერტიფიკატები) ინახება თანამშომლების პირად საქმეებში. პირადი საქმეები გადაიხედა, როგორც მტკიცებულება, დაკავებული თანამდებობების სამუშაო აღწერილობების შესაბამისად, ყველა პირს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრული კვალიფიკაცია,. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 20.05.2025 წლის N02/26 ბრძანებით დამტკიცებული ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები" მიეწოდა დაწესებულების ადმინისტრაციის უფროსს, რომელმაც აღნიშნული მექანიზმები გააცნო დაწესებულების მედდას, უფროს აღმზრდელებს და აღმზრდელებს. გაერთიანების დირექტორის 14.02.2025 წლის N02/10 ბრძანებით ,,პირველადი სამედიცო დახმარების ტრენინგების დაორგანიზების შესახებ" თითოეული საბავშვო ბაღიდან განისაზღვრა პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და სიმულაციური წვრთნების 5 საათიანი ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა და სია. ტყიბულის N3 საბავშვო ბაღიდან ტრენინგი გაიარა 5 თანამშრომელმა: 4 უფროსი აღმზრდელი (აღმზრდელ-პედაგოგი) და მედდა, 4 აღმზრდელს აღნიშნული ტრენინგი გავლილი არ აქვს. ტრენინგი ჩატარდა ქუთაისის დ.ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრის მიერ, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, გაერთიანების დირექტორის 14.02.2025 წლის N 02/10 ბრძანება, სერტიფიკატები,ინტერვიუ გაერთიანების წარმომადგენელთან და ადმინისტრაციის უფროსთან ადასტურებს,

რომ დაწესებულების ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალის მხოლოდ ნაწილს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა.(ა.)ი.პ. ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების“ ადმინისტრაციული ერთეულის-ტყიბულის N3 საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, კონკრეტული ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულება გეგმავს ბავშვთან მომუშავე ყველა საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადებას პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციების შესაძენად/განსავითარებლად, რისთვისაც 01.10.2026 წლამდე მოიძიებს მომსახურების მომწოდებელს, გააფორმებს მასთან ხელშეკრულებას,ჩატარდება ტრენინგები. ექსპერტი იზიარებს დაწესებულების შეფასებას ,,მეტწილად შეესაბამება", შესაბამისად, შეფასება ,,არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შეესაბამება".

.....

.....

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 05.03.2024 წლის N02/14 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების შინაგანაწესით და 2025 წლის 14 აპრილის N 02/19 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით“ განსაზღვრულია დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები, ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის“ შესაბამისად დაწესებულება შეიმუშავებს/ანახლებს სამუშაო აღწერილობებს, იზიდავს კომპეტენტურ კადრს და ხელს უწყობს დასაქმებულ პირებს, როგორც ინტეგრაციის პროცესის გავლაში, ასევე შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენა/რეალიზებასა და პროფესიულ განვითარებაში, რისთვისაც განსაზღვრული პერიოდულობით ახდენს მათ შეფასებას შემუშავებული შეფასების წესის მიხედვით, იკვლევს თანამშრომლების საჭიროებებს. ყოველივე ამას იყენებს თანმაშრომელთა საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის, მათი უფლება-მოვალეობების სწორად გააზრებისა და პროფესიული განვითარებისთვის. შესაბამისად, რთავს შერჩეულ წამახალისებელ მექანიზმს, ან დისციპლინარულ სახდელებს. შრომის შინაგანაწესით

დაწესებულება და გაერთიანება არეგულირებს თანამშრომელთა უფლება მოვალეობებს, საკვალიფიკაციო შესაბამისობას, სამსახურებრივი ქცევის სტანდარტებს და თანამშრომლებს შორის დავის გადაწყვეტას, უზრუნველყოფს შრომითი ხელშეკრულების დადებას, შრომის ანაზღაურებას, შვებულებას, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების გამოყენებას. ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი" და ,,დაწესებულების შინაგანაწესი" ბევრ საკითხში მსგავსად არეგულირებს დაწესებულების პერსონალის უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს. ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი" უფრო დეტალურად აღწერს სამუშაო აღწერილობების ნაწილს, კერძოდ პერსონალის ფუნქცია-მოვალეობას,შეთავსებას და სხვ.

შრომის შინაგანაწესით, ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით", პერსონალის შეფასების წესით, შეფასების შევსებული ფორმებით, ადაპტაციის წესის, გაერთიანების წარმომადგენელთან და დაწესებულების ადმინისტრაციის უფროსთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ჰყავს 4 უფროსი აღმზრდელი და 4 აღმზრდელი, შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია მათზე დაკისრებული საქმიანობისა და უფლება მოვალეობების დროულად, ხარისხიანად და ეფექტურად შესრულების საკონტაქტო დრო, ასევე კვირაში 2,5 არასაკონტაქტო საათი, რომლის ფარგლებში შესასრულებელია შემდეგი სამუშაოები: მუშაობა გეგმებზე, ბავშვის შეფასების ფორმებზე, მზადება გეგმაში გაწერილი აქტივობებისათვის/ თამაშებისათვის(ღია რესურსის მოძიება, მასალების დამზადება.დაკვირვების ჩანაწერების გადახედვა, შეხვედრა მშობლებთან. გაერთიანებას გაწერილი აქვს აღმზრდელთა არასაკონტაქტო დროის განრიგი ბაღების მიხედვით, N3 ბაღში უფროს აღმზრდელთა არასაკონტაქტო საათების განმავლობაში ბავშვებთან შედიან: ფსიქოლოგი და მუსიკის მასწავლებელი. დასტურდება, რომ უფროს აღმზრდელთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 14.04.2025 წლის N02/19 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი", რომლის მე-9 მუხლი ითვალისწინებს თანამშრომლების პირდაპირ დანიშვნას ან შერჩევას. თანამშრომლების შერჩევა/დანიშვნას გაერთიანება ახდენს ადგილზე შესული განცხადებების გადარჩევის საფუძველზე. თანამშრომლების აყვანა ძირითადად ხდება პირდაპირი დანიშვნის გზით. შერჩევის ეტაპზე დაწესებულება ეყრდნობა კონკრეტული პოზიციისთვის შემუშავებულ სამუშაო აღწერილობას და კანდიდატის კვალიფიკაციას. შერჩეულ კანდიდატს მოთხოვნილ/ვაკანტურ პოზიციაზე ბრძანებით ნიშნავს გაერთიანების დირექტორი. პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვის მიზნით, თანამშრომელთა შერჩევა/დასაქმებისას მეტი ობიექტურობისა და გამჭვირვალობისთვის დაწესებულება გეგმავს კონკურსის ჩატარების წესის შემუშავებას ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად, რასაც შესაბამისობის გეგმით განახორციელებს 1 წლის ვადაში. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ 05.01.2026 წლამდე, ჯეროვნად განახორციელოს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე შემუშავებული შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობები: კონკურსის ჩატარების ძირითადი პროცედურების გამოყოფა, კონკურსის წესის შემუშავება და დამტკიცება უფლებამოსილი პირის მიერ.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 აპრილის N 02.19 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" მე-18 მუხლით გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლის ინტეგრაციისთვის საჭირო მექანიზმები, კერძოდ: ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა, ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან და ხელმძღვანელებთან, ტრენინგების და სასწავლო კურსების უზრუნველყოფა, განსაზღვრულია მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას, ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში. ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით" დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……
……

რჩევა

……
……

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……
……

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, ამის დამადასტურებელია გაერთიანებაში მოქმედი სტრატეგიული განვითარებისა და ავტორიზაციის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, ასევე მოქმედებს სათათბირო საბჭო, კურიკულუმის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი. სტრატეგიული განვითარების გეგმა, მისია, ხედვა და ღირებულებების დოკუმენტი შემუშავდა გუნდურად, სხვადასხვა მხარეების აქტიური ჩართულობით, რაც დასტურდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებებით, სამუშაო ჯგუფის, სათათბირო საბჭოს შეხვედრის ოქმებით N 2, N3, დაწესებულების პერსონალის შეხვედრის ოქმით N1, ფოტოსურათებით და ინტერვიუთი პასუხისმგებელ პირებთან. ზემოთაღნიშნული მიუთითებს, რომ დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 აპრილის N 02/19 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" მე-19 მუხლით რეგულირდება შესრულებული სამუშაოს შეფასება და საჭიროებებათა მოკვლევა. კერძოდ, პერსონალის საქმიანობის შესაფასებლად განსაზღვრულია საგანმანათლებლო პერსონალის შეფასების ახალი ფორმის შემუშავება და გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცება. ადმინისტრაციის უფროსის მიერ კვირის ბოლოს ფასდება პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაო. მომდევნო კვირისთვის იგეგმება გაუმჯობესებული პროცესი. ადმინისტრაციის უფროსის მიერ თითოეულ ჯგუფზე დაკვირვება ხორციელდება შემუშავებული ჩეკლისტის საშუალებით, ასევე გამოიყენება გამოკითხვის მეთოდიც. წელიწადში ორჯერ განხორციელებული მონიტორიგის საფუძველზე ხდება საბოლოო შეფასება, შეფასების ანგარიშში განიხილება მთლიანად მონიტორინგის შედეგები, სადაც განხილულია პერსონალის საჭიროებებიც.

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით, შეფასების ფორმებით, კითხვარებით, დაკვირვების ჩეკლისტებით დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 აპრილის N 02/19 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის“ მე-20 მუხლით რეგულირდება თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება, დაწესებულება პერსონალზე დაკვირვების და შეფასების შემდეგ გამოკვეთს პერსონალის საჭიროებებს, ასევე გარკვეული პერიოდულობით ახდენს დაკვირვებას დაწესებულების პერსონალზე გაერთიანების წარმომადგენელი. შეფასების ფორმებზე, დაკვირვების ანალიზის და შუალედური ანგარიშის საფუძველზე ხდება პერსონალის საჭიროების/საჭიროებების განსაზღვრა და დაწესებულების/გაერთიანების მიერ პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება, რომელიც ინტეგრირებულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

მიმდინარე წელს გაერთიანება დაეყრდნო ბაღების ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს, პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით დააორგანიზეს საჭირო ტრენინგ-მოდულები სამოქმედო გეგმის შესაბამისად გაწერილი ფინანსური სახსრების გამოყენებით. ასევე თავად გაერთიანების წარმომადგენლებმაც ჩაუტარეს დაწესებულების პერსონალს საჭირო ტრენინგები.(ბაღების ავტორიზაციის სტანდარტები, მისია, ხედვა ღირებულებები, პროფესიული განვითარების საშუალებები და სხვ.)

დაწესებულების პერსონალმა, საჭიროებიდან გამომდინარე, პროფესიული განვითარების გეგმის შესაბამისად, (ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ნაწილი) გაიარა შემდეგი ტრენინგები:

1. 66 საათიანი ტრენინგ-მოდულები- 4 უფროსი აღმზრდელი და 4 აღმზრდელი
2. ,, აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“- 5 თანამშრომელი
3. ,, თამაში“- 5 თანამშრომელი
4. ,, სასწავლო-საამღზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისთვის“ – 2 თანამშრომელი
5. სკოლამდელი ასაკის ბავშთა განვითარების თავისებურებები - 1 თანამშრომელი
6. სტრესის მართვის მექანიზმები- 3 თანამშრომელი
7. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ინკლუზია- 4 თანამშრომელი
8. სხვადასხვა ტრენინგ-მოდული (ტექნოლოგიები და ა.შ.) - 8 თანამშრომელი
9. პირველადი გადაუდებელი დახმარება- 5 თანამშრომელი

,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის", შუალედური ანგარიშის, გამოკვეთილი საჭიროებების, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის - პროფესიული განვითარების გეგმის, სერტიფიკატების, გაერთიანების წარმომადგენელთან და დაწესებულების ადმინისტრაციის უფროსთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 აპრილის N 02/19 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" მუხლი 20.-დან გამომდინარე, დაწესებულება პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას ახდენს თანამშრომელთა ინიციატივების წახალისებას, რომლებიც გამოიკვეთება პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე პერსონალის მხრიდან ზეპირსიტყვიერად თუ წერილობით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, კერძოდ, მისი ნაწილის -პროფესიული განვითარების გეგმის სრულყოფა სწორედ დაწესებულების პერსონალის ინიციატივების შესაბამისად ხდება. გაერთიანება აორგანიზებს პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის სხვადასხვა აქტივობებს: საინფორმაციო შეხვედრებს, ტრენინგებს, ქოუჩინგს, მოთხოვნილი რესურსების მიწოდებას და ა.შ. დაწესებულებას აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, რაც გამოიხატება: მადლობის სიგელით ან/და ფულადი ჯილდოთი.

,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი", პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა, ინტერვიუ გაერთიანების წარმომადგენელთან და ადმინისტრაციის უფროსთან ადასტურებს, რომ დაწესებულება ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივებს. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დამადასტურებელი მტკიცებულებები

1. გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 აპრილის N 02.19 ბრძანებით დამტკიცებული ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“
2. გაერთიანების დირექტორის 05.03.2024 წლის N02/14 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების შინაგანაწესი
3. გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 14 აგვისტოს N02/30 ბრძანებით დამტკიცებულია „2024-2025 სააღმზრდელო-საგანმანათლებლო წლის სამოქმედო გეგმა“(პროფესიული განვითარების გეგმა)
4. დაწესებულების ორგანოგრამა
5. საშტატო უწყისი
6. შრომითი ხელშეკრულებები
7. პერსონალის პირადი საქმეები
8. გაერთიანების დირექტორის 14.02.2025 წლის N 02/10 ბრძანება პირველადი სამედიცო დახმარების ტრენინგების დაორგანიზების შესახებ
9. პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერტიფიკატები
10. საგანმანათლებლო პერსონალის შეფასების ფორმა/შევსებული ფორმები
11. დაკვირვების ჩეკლისტები
12. შუალედური ანგარიში
13. პერსონალის საჭიროებები
14. სამუშაო ჯგუფის, სათათბირო საბჭოს ოქმები N 2, N3,
15. დაწესებულების პერსონალის შეხვედრის ოქმი N1
16. ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები, განსაზღვრული აქვს თითოეულ პროცესის ეფექტურად განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, შემუშავებული აქვს პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 20 მაისის 02/27 ბრძანებით. პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი, ინტერვიუ გაერთიანების წარმომადგენელთან, ადმინისტრაციის უფროსთან ადასტურებს, რომ დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 20 მაისის 02/27 ბრძანებით დამტკიცდა მექანიზმი ,,პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი", სადაც აღნიშნულია, რომ დაწესებულებაში მიმდინარე თითოეული პროცესი ხარისხის ციკლის (,,დემინგი") შესაბამისად გადის 4 ურთიერთდაკავშირებულ საფეხურს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება.მმართველობითი, ძირითადი, დამხმარე პროცესები დაწესებულების მიერ რეგულირდება ამავე წესის შესაბამისად. ბრძანებით განსაზღვრულია თითოეული პროცესის ეფექტურად განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, მთლიანობაში აღნიშნული პროცესი საშუალებას იძლევა პროცესების მართვა განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის მიერ 2024 წლის 25 ნოემბრის N53 ბრძანებით დამტკიცებულია, ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი “, სწორედ ამ წესზე დაყრდნობით ხდება დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა/ამორიცხვა. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობა და ვადები განისაზღვრება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით. 02.07.2024 წლის გაერთიანების სათათბირო საბჭოს სხდომაზე მოხდა საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა ჩარიცხვის I და II ეტაპის გაცნობა-განხილვა, ასევე მსჯელობა ,,ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელ წესთან“- დაკავშირებით, წესი მოგვიანებით დამტკიცდა, ,,ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“, გაერთიანების სათათბირო საბჭოს შეხვედრის ოქმი N3, ინტერვიუ გაერთიანების წარმომადგენელთან და ადმინისტრაციის უფროსთან ადასტურებს, რომ დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის მიერ 2024 წლის 25 ნოემბრის N53 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი "-ს მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ბავშვის ჩარიცხვა ხორციელდება მშობელთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, კონკრეტული დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე, კერძოდ: : მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება გაერთიანების დირექტორის სახელზე, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა ჩატარებული აცრების მითითებით, ბავშვის ფოტოსურათი, ბავშვის მისამართი, მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის პირადობის ასლი, მისამართი, მისი თანხმობა/უარყოფა ბავშვის ფოტო/ვიდეო გადაღება/გამოქვეყნებაზე, მშობლის საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადებების და სსსმ საჭიროების შესახებ, ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიის ან კვებითი აუტანლობის შესახებ, არსებობის შემთხვევაში. ჩამოთვლილი ყველა დოკუმენტი მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან ერთად ინახება ბავშვის პირად საქმეში.

გაერთიანების უფროსის 2025 წლის 14 აპრილის N 02.19 ბრძანებით დამტკიცებული ,, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" მუხლი 22-ით განსაზღვრულია ინფორმაცია თანამშრომელთა პირადი საქმეების შესახებ. დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები ინახება გაერთიანებაში.შეიცავს არსებით ინფორმაციას თანამშრომლის შესახებ მისი სამუშაო პერიოდის განმავლობაში. პირადი საქმის შემადგენელი ნაწილებია: სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი; ¬ რეზიუმე; ¬ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი: ¬ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ¬ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან; ¬ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები; ¬ შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები; ¬ კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები); ¬ შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი. სავალდებულოდ წარმოსადგენი და პირად საქმეში შესანახი დოკუმენტების გარდა, დაწესებულებას უფლება აქვს დამატებით განსაზღვროს ასევე სხვა დოკუმენტები, რომლებიც შეინახება პირად საქმეში.

დასტურდება, რომ დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. გაერთიანების დირექტორის 20.05.2025 წლის N 02-27 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული -,,პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი“
2. გაერთიანების დირექტორის 20.05.2025 წლის N 02-27 ბრძანების მეორე პუნქტი - პროცესის განხორც. პასუხისმგებელი პირის/პირების განსაზღვრის შესახებ
3. გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 ნოემბრის N53 ბრძანებით დამტკიცებული,,ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“
4. გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 აპრილის N 02.19 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“
5.პერსონალის პირადი საქმეები
6. ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან
7. გაერთიანების სათათბირო საბჭოს შეხვედრის ოქმები

შეფასება:			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამებ.ა ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:
4.3 მატერიალური რესურსი

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო ოთახი, დასაქმებულია კვალიფიციური ექთანი, არსებობს სამედიცინო ფურცელი-ფორმა 100 ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ბავშვთა ავადმყოფობის გამო გაყვანის და პირველადი სამედიცინო დახმარების აღრიცხვის ჟურნალი, ჯანმრთელობის ყუთი პირველადი დახმარებისთვის მოიცავს საჭირო მედიკამენტებს და საშუალებებს. გაერთიანების დირექტორის 20.05.2025 წლის N 02/26 ბრძანებით დამტკიცებულია ,,გაერთიანების ადმინისტრაციულ საბავშვო ბაგა-ბაღებში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები", რომელიც მიეწოდა დაწესებულების ადმინისტრაციის უფროსს, აღნიშნული მექანიზმები გაცნობილ იქნა დაწესებულების მედდის, უფროსი აღმზრდელების და აღმზრდელებისთვის. ასევე, დაწესებულების 5 თანამშრომელს: 4 უფროს აღმზრდელს და მედდას აქვს გავლილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და სიმულაციური წვრთნების ტრენინგი, რომელიც ჩატარდა ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრის მიერ, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით.

დაწესებულებას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან, ამასთან დაკავშირებით შემუშავდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. დაწესებულება გეგმავს 1 წლამდე ვადაში აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზი. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე შემუშავებულ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება მოცემული სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, კერძოდ, მოამზადოს და დაამტკიცოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შეათანხმოს უფლებამოსილ ორგანოსთან და განათავსოს შენობაში 05.01.2026 წლამდე.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის. დაწესებულებას არ აქვს მწვანე საფარის ინვენტარიზაციის დოკუმენტი, აღნიშნულთან დაკავშირებით შემუშავდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. დაწესებულება გეგმავს 1 წლამდე ვადაში აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზი.**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე შემუშავებულ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება, კერძოდ ბაღის ინვენტარიზაციის დოკუმენტის შექმნა ერთ წლამდე ვადაში, 05.01.2026 წლამდე.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებობს დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანის მექანიზმი, რომელიც გულისხმობს ბავშვების უსაფრთხოების დაცვას, მშობელთა ინფორმირებას და მათგან წერილობითი ნებართვის მიღებას. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანას უფროსი აღმზრდელი, აღმზრდელი უზრუნველყოფს მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ნებართვას ითვალისწინებს დაწესებულებასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებაც, ასევე არსებობს ცალკე წერილობითი ნებართვის ფორმა ბავშვების დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანაზე, ნებართვა ფოტო/ვიდეო გადაღებასა და მის საჯაროდ გამოქვეყნებაზე. დაწესებულებასა და მშობელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, ასევე ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის უფროსთან ადასტურებს, რომ კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების შენობის შიგნით არსებობს მანიშნებლები, რომლებიც დაეხმარება ბავშვს შენობაში ორიენტირებისთვის. მანიშნებლები განთავსებულია როგორც ჯგუფურ ოთახებში, ასევე ჯგუფის გარეთ. დაწესებულებაში არის 4 ასაკობრივი ჯგუფისთვის 4 ჯგუფური ოთახი, ოთახების შესასვლელთან კედელზე გამოკრულია ბავშვებისთვის მარტივად აღსაქმელი დასურათებული დღის განრიგი, თითოეული აქტივობის დასრულების შემდეგ ბავშვები შეძლებენ თავად გადაატრიალონ განვლილი აქტივობის სურათი და გადავიდნენ შემდეგ აქტივობაზე. შენობის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა იცნობდნენ დღის განრიგს და ჰქონდეთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ადმინისტრაციის უფროსის მიერ დაორგანიზდა საინფორმაციო შეხვედრა დაწესებულების პერსონალისთვის, შეხვედრის N4 ოქმში იკითხება, რომ ადმინისტრაციის უფროსმა პერსონალს გააცნო ბავშვთა უფლებების კონვენცია, მოხდა ბავშვთა უფლებების სიტუაციური განხილვა/გაანალიზება. შეხვედრაზე დასწრებას დამსწრეები ადასტურებენ ხელმოწერებით. აღნიშნულს ადასტურებს საინფორმაციო შეხვედრის ოქმი N4 და ინტერვიუ ადმინისტრაციის უფროსთან. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და აქვს მზაობა დაიცვას საქმიანობის წარმართვის პროცესში. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 06 ნოემბრის 02/47 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი “, ამ წესის შესაბამისად, დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის. რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირად N3 საბავშვო ბაღში განსაზღვრულია ამავე ბაღის ადმინისტრაციის უფროსი. რომლის გადამზადება დაგეგმილი იყო გაერთიანების დირექტორის 14.08.2024 წლის N 02/30 ბრძანებით დამტკიცებული ,,2024-2025 სააღმზრდელო-საგანმანათლებლო წლის სამოქმედო გეგმით“, აქტივობის განხორციელება გადაიდო 2025-2026 სააღმზრდელო-საგანმანათლებლო წლისთვის.

მარეგულირებელი წესი, ბრძანება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ, ინტერვიუ გაერთიანების წარმომადგენელსა და ადმინისტრაციის უფროსთან ადასტურებს, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების დირექტორის მიერ 5.09.2024 წლის N 02/33 ბრძანებით დამტკიცდა ,,ადაპტაციის და ტრანზიციის მარეგულირებელი მექანიზმი", რომელიც გულისხმობს ბავშვის პირველად შესვლას საბავშვო ბაღში, ბაღიდან სკოლაში წასვლას, ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გადასვლას. ასევე ერთი სიტუაციიდან ან აქტივობიდან მეორეში გადასვლას და ა.შ. მექანიზმი გულისხმობს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო წლის დაწყებამდე ახლად რეგისტრირებული ბავშვების მშობლებისთვის წინასწარ საორიენტაციო შეხვედრების მოწყობას, სადაც დაწესებულება გარემოსთან ადაპტაციისა და ტრანზიციისთვის საჭირო ინფორმაციას მიაწვდის მშობლებს. რამდენიმე დღით ადრე, აღმზრდელების და გარემოს გასაცნობად, მშობლის მიერ ხდება ბაღში ბავშვის მიყვანა, ეფექტური სტრატეგიაა მშობლის დარჩენა ჯგუფში რამდენიმე საათი ბავშვთან ერთად და მიმდინარე აქტივობებში მისი ჩართვა. სასკოლო მზაობის ბავშვებისთვის ხდება თემის ,,მე სკოლაში მივდივარ" ირგვლივ აქტივობების/თამაშების დაგეგმვა(მაგ: თამაში ,,სკოლობანა"და სხვ.), ხორცილედება ბავშვების ვიზიტი ახლომდებარე სკოლაში, ასევე დაწესებულების მიერ ხდება რჩევების შემუშავება მშობლებისთვის: როგორ მოვამზადოთ ბავშვი საბავშვო ბაღისთვის, რჩევები მშობლებს სკოლაში ტრანზიციის საკითხებთან დაკავშირებით. ეს რჩევები განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა მშობლისთვის. შიდა ტრანზიციები ხორციელდება თამაშის ელემენტებით, რათა გაუმარტივონ ბავშვებს ეს პროცესები. ,,ადაპტაციის და ტრანზიციის მარეგულირებელი მექანიზმი", დაწესებულების საინფორმაციო დაფა, ინტერვიუ ადმინისტრაციის უფროსთან ადასტურებს, რომ დაწესებულებას აქვს მზაობა ხელი შეუწყოს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ჯგუფში უფროსი აღმზრდელი და აღმზრდელი უზრუნველყოფს ბავშვის პირადი ინფორმაციის დაცვას, ბავშვის და მისი ოჯახის კონფიდენციალურობას, მოპოვებული/ბავშვისგან მიღებული ინფორმაციის დაცვას გამხელისგან. გაერთიანებაში დანიშნულია პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი და შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი. გაერთიანება და დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის პირადი უსაფრთხოების ზომების,ასევე თანამშრომელთა უფლებების დაცვას პერსანალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, ინტერვიუ ადმინისტრაციის უფროსთან და გაერთიანების წარმომადგენელთან ადასტურებს, რომ დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
.....
.....

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. გაერთიანების დირექტორის 20.05.2025 წლის N 02/26 ბრძანებით დამტკიცებული ,, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“

2. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები
3. ვიზუალური დათვალიერება
4. ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან
5. გაერთიანების დირექტორის 15. 05.2025 წლის N 02/24 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი
6. გაერთიანების დირექტორის 05.09.2024 წლის N 02/33 ბრძანებით დამტკიცებული ,,ადაპტაციის და ტრანზიციის მარეგულირებელი მექანიზმი".
7. გაერთიანების დირექტორის 06.11.20024 წლის N 02/47 ბრძანების მეორე პუნქტით დამტკიცებული - რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირებად ადმინისტრაციის უფროსების დანიშვნის შესახებ.
8. გაერთიანების დირექტორის 06.11.2024 წლის N 02/47 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი"
9. დასურათებული დღის განრიგი
10. დაწესებულების პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრის ოქმი N4

შეფასება:			
4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

